

ABOUT HIV

მკურნალობის გვერდითი მოვლენები

სხვა მედიკამენტების მსგავსად, აივ-საწინააღმდეგო მედიკამენტებს შეიძლება თან ახლდეს არასასურველი მოვლენები, რომლებიც ზოგჯერ არასასიამოვნოა, ზოგჯერ კი მათ გამო შეიძლება თავი ცუდად იგრძნოთ. მედიკამენტების ამ თვისებებს გვერდით მოვლენებს უწოდებენ.

აივ-ის მკურნალობის სარგებელი გაცილებით უფრო მაღალია ვიდრე გვერდითი მოვლენები. აივ-ის მკურნალობა გაძლევთ ცხოვრების ნორმალური ხანგრძლივობის შანსს. მკურნალობის დაწყების გადავადებამ გვერდითი მოვლენების შიშის გამო შეიძლება გაზარდოს ჯანმრთელობის გაუარესების რისკი.

დღევანდელ დღეს ხელმისაწვდომ აივ-საწინააღმდეგო მედიკამენტებს გააჩნიათ გაცილებით ნაკლები გვერდითი მოვლენები, ვიდრე იმათ, რომლებსაც ადრე იყენებდნენ. გაცილებით დიდი მედიკამენტების არჩევანი. თქვენ და თქვენმა ექიმმა უნდა გაითვალისწინოთ პოტენციური გვერდითი მოვლენები მედიკამენტების არჩევისას.

თქვენ არ უნდა აღიქვათ გვერდითი მოვლენები, როგორც თქვენი ცხოვრების გარდაუვალი რეალობა. მოუყევით თქვენს ექიმს ნებისმიერი გვერდითი მოვლენის შესახებ, შესაძლოა რაიმე მედიკამენტი დაგეხმაროთ გვერდითი მოვლენების მართვაში. ან პირირქით, შესაძლოა თქვენ მოგიწიოთ მკურნალობის შეცვლა. მაგრამ არ შეწყვიტოთ მკურნალობა ექიმის გარეშე.

მკურნალობის დაწყებისათვის დამახასიათებელი გვერდითი მოვლენები

გვერდითი მოვლენების უმრავლესობა დგება მკურნალობის დაწყების შემდეგ ერთი ან ორი კვირის განმავლობაში. ეს იმიტომ ხდება, რომ თქვენს ორგანიზმში

ამ პერიოდში მიმდინარეობს მედიკამენტებთან შეგუების პროცესი. დროის განმავლობაში, ჩვეულებრივ, გვერდითი მოვლენები მცირდება ან მათთან ერთად ცხოვრება უფრო მარტივი ხდება.

მკურნალობის პირველ კვირებში გავრცელებული გვერდითი მოვლენებია: დიარეა, გულისრევის შეგრძნება, ლებინება, თავის ტკივილი, განწყობასთან და ძილთან დაკავშირებული პრობლემები, გამონაყარი და დაღლილობის შეგრძნება.

ამ პერიოდში, თქვენმა ექიმმა შეიძლება შემოგთავაზოთ დამატებითი მედიკამენტები გვერდითი მოვლენების სამართავად. მაგალითად, თუ თქვენ დიარეა გაქვთ, მაშინ თქვენ შეიძლება დაგეხმაროთ დიარეის საწინააღმდეგო მედიკამენტების მიღება მოკლე პერიოდის განმავლობაში.

თუ ეს პრობლემები არ მოგვარდა რამდენიმე თვის შემდეგ, დაელაპარაკეთ თქვენს ექიმს თქვენი შეგრძნებების შესახებ. შესაძლოა თქვენ დაგჭირდეთ მკურნალობის შეცვლა.

ალერგიული რეაქცია

გაცილებით ნაკლებად გავრცელებულია, მაგრამ ძალიან მნიშველოვანია ისეთი გვერდითი მოვლენა, როგორცაა ალერგიული რეაქცია. ალერგია პაციენტების ძალიან მცირე რაოდენობას აღენიშნება, მაგრამ შეიძლება იყოს საშიში. აივ-ის მკურნალობაზე მყოფი პირებიდან 50-დან ერთზე ნაკლებს უვითარდებათ ალერგია. ეს მედიკამენტებია: აბაცავირი, ნევირაპინი, ეტრავერინი და რალტეგრავირი.

თუ თქვენ იწყებთ ჩამოთვლილიდან რომელიმე მედიკამენტის მიღებას, კარგი იქნება თუ დაელაპარაკებით თქვენს ექიმს ალერგიული რეაქციის შესაძლო ნიშნებზე (მაგალითად გამონაყარი). აბაცავირის მიღებამდე ჩაიტარეთ სისხლის ანალიზი, თქვენს ორგანიზმში გენის HLA-B*5701 არსებობის დასადგენად, რადგანაც ეს მედიკამენტი არ არის რეკომენდებული მათთვის, ვისაც ეს გენი აქვს.

დაუყოვნებლივ დაუკავშირდით თქვენს ექიმს, როგორც კი ალერგიაზე ეჭვი გაგიჩნდებათ.

ABOUT HIV

მკურნალობის გვერდითი მოვლენები



გრძელვადიანი მოქმედების გვერდითი მოვლენები

აივ-ის მკურნალობის დიდი სარგებელის მიუხედავად, ზოგი აივ-საწინააღმდეგო მედიკამენტების გამოყენება ასოცირდება პრობლემებთან ძვლებში, გულის დაავადებასთან, თირკმლის პრობლემებთან და ღვიძლის დაავადების ჩამოყალიბებასთან.

ამ მოვლენების მონიტორინგისათვის აუცილებელია აივ-ის მკურნალობის დაწყების შემდეგ სისხლის ტესტირების რეგულარული ჩატარება. ამ ტესტირების მეშვეობით შესაძლებელია თქვენი ორგანიზმის ფუნქციონირების შეფასება. ეს შესაძლებლობას მისცემს თქვენს ექიმს მიიღოს მკურნალობის შეცვლასთან ან სხვა ქმედებების განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება, მანამ სანამ სერიოზული პრობლემა წარმოიქმნება. აუცილებლად შეატყობინეთ თქვენს ექიმს ნებისმიერი უჩვეულო სიმპტომის შესახებ.

ზოგ ძველ აივ-მედიკამენტს ახასიათებს გვერდითი მოვლენის ნაკრები, რომელსაც ლიპოდისტროფიას უწოდებენ, და რომლის შედეგად იცვლება სხეულის ფორმა და სისხლში ცხიმის შემცველობა. ზოგი ძველი მედიკამენტი ასევე ასოცირდება იშვიათ, მაგრამ სერიოზულ გრძელვადიან გვერდით მოვლენასთან, რომელსაც ლაქტურ აციდოზს უწოდებენ. თანამედროვე აივ-საწინააღმდეგო პრეპარატები არ იწვევენ ამ გართულებებს.

www.pro-vich.info და www.about-hiv.info შემუშავება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების

მიზნით. თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCRU-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: www.about-hiv.info; www.pro-vich.info; www.aidsmap.com
UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220